„მედიაფრეიმინგი და მისი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე: შოვის ტრაგედიის შედარებითი ანალიზი ქართულ სამაუწყებლო მედიაში"

მაგისტრი: *მარიამ კარტოზია*

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: *საზოგადოებასთან ურთიერთობა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: *გიორგი კალატოზიშვილი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრი: *მარიამ კარტოზია*

21.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება შოვის 2023 წლის ტრაგედიის გაშუქების თავისებურებებს ქართულ სამაუწყებლო მედიაში და მის გავლენას საზოგადოებრივ აღქმაზე. მკაცრად პოლარიზებულ, სოციო-პოლიტიკურ გარემოში, კრიზისული ჟურნალისტიკა, ხშირად კარგავს თავის ნორმატიულ ფუნქციას, საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებულობასა და კონსოლიდაციას და ხდება პოლიტიკური დაპირისპირების ინსტრუმენტი. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ კრიზისულ პერიოდში მედიის მიერ რეალობის კონსტრუირება პირდაპირ განსაზღვრავს ინსტიტუციური ნდობისა და საზოგადოებრივი მედეგობის ხარისხს.

ნაშრომში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგიური დიზაინი (Mixed Methods), რაც უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების კომპლექსურობასა და ვალიდურობას. კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს მოქალაქეთა ანკეტირებას (N=60) ხელმისაწვდომობის შერჩევის პრინციპით, ხოლო თვისებრივი ნაწილი ეყრდნობა 5 სიღრმისეულ ინტერვიუს დარგის ექსპერტებთან, მათ შორის სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტთან, მედიაფსიქოლოგთან და სტიქიის ზონაში მომუშავე პრაქტიკოს ჟურნალისტებთან. ნაშრომში დასმული სამივე ჰიპოთეზა შემოწმდა ემპირიული და თემატური ანალიზის გზით.

ემპირიულმა მიგნებებმა სრულად დაადასტურა წაყენებული ჰიპოთეზები და გამოავლინა რადიკალური ნარატიული დიქოტომია ქართულ მედიასივრცეში. პროსახელისუფლებო არხებმა გამოიყენეს „ინსტიტუციური და ფორსმაჟორული ფრეიმინგი“, რომელიც ორიენტირებული იყო მოვლენის დეპოლიტიზაციაზე, დაბალ ემოციურ ფონსა და სტიქიის გარდაუვალობაზე. საპირისპიროდ, ოპოზიციურმა მედიამ აქცენტი გააკეთა „პასუხისმგებლობის ატრიბუციის“ ფრეიმზე (სახელმწიფოს დადანაშაულების 82%-იანი მაჩვენებელი) და ჰიპერ-ემოციურ, სენსაციალისტურ გაშუქებაზე, რაც ხშირად სცილდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს. ამგვარმა უკიდურესმა პოლარიზაციამ გამოიწვია ტრადიციული სამაუწყებლო მედიისადმი

საზოგადოებრივი ნდობის სისტემური კრიზისი (M=2.35), რამაც აუდიტორიის დიდი ნაწილი ალტერნატიული, ციფრული და სოციალური მედიის ეკოსისტემებისკენ გადაამისამართა.

ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება სტრატეგიული კომუნიკაციებისა და კრიზისული პიარ-მენეჯმენტისთვის. კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მედიაორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს სთავაზობს კონკრეტულ მექანიზმებს საინფორმაციო ვაკუუმის პრევენციისთვის, ჰუმანიტარული კრიზისების დეპოლიტიზაციისა და ექსტრემალურ პირობებში ეთიკური გაშუქების სტანდარტების დასაცავად.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: კრიზისული ჟურნალისტიკა, ფრეიმინგის თეორია, მედია პოლარიზაცია, შოვის ტრაგედია, საზოგადოებრივი ნდობა, სტრატეგიული კომუნიკაციები.

Abstract

This master's thesis explores the dynamics of media framing surrounding the 2023 Shovi landslide tragedy within the Georgian broadcasting sector and assesses its subsequent impact on public perception. In highly polarized socio-political environments, crisis journalism frequently deviates from its normative mandate of objective information dissemination and public consolidation, devolving instead into a vehicle for political contestation. The significance of this study lies in understanding how media-constructed realities during acute crises directly shape institutional trust and societal resilience.

The study adopts a convergent parallel mixed-methods research design to ensure empirical depth and validity. The quantitative component utilizes data gathered from a public survey (N=60) conducted via convenience sampling. The qualitative framework relies on 5 semi-structured, in-depth interviews with key experts, including strategic communication specialists, media psychologists, and field journalists who covered the disaster firsthand. Three core hypotheses were formulated and rigorously tested through empirical and thematic data analysis.

The empirical findings fully validate all three hypotheses, revealing a stark narrative dichotomy within the Georgian media landscape. Pro-government outlets predominantly employed "institutional and force-majeure framing," aimed at depoliticizing the disaster by emphasizing unavoidable natural factors and maintaining a low emotional resonance. Conversely, opposition media heavily leveraged the "attribution of responsibility" frame—resulting in an 82% government blame rate among respondents—coupled with hyper-emotional, sensationalist coverage that frequently breached ethical journalism standards. This intense polarization triggered a systemic crisis of trust in traditional broadcasting ($M=2.35$), ultimately driving significant portions of the audience toward alternative digital and social media ecosystems.

This research offers substantial theoretical and practical insights for the fields of strategic communications and crisis PR management. The actionable recommendations formulated at the

conclusion of the study provide media organizations and state institutions with concrete frameworks to prevent information vacuums, depoliticize humanitarian crises, and uphold ethical reporting standards under extreme operational constraints.

Keywords: Crisis Journalism, Framing Theory, Media Polarization, Shovi Tragedy, Public Trust, Strategic Communications.